შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (9.672)

7-14 მარტი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ულოცავენ!

ძვირფასო ქალბატონებო, მინდა მოგილოცოთ გაზაფხულის დადგომა და ქალთა დღესასწაულები. ქალის ღირსება, უპირველესად, განისაზღვრება სწორედ იმით, თუ როგორი დედა და აღმზრდელია იგი. დედები უზრდიდნენ ჩვენს ხალხს გმირებს, ერისკაცებს, მოღვაწეებს და ისინი ეზიდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მძიმე უღელს. ჩვენს ეპოქაში დედის და ქალის ფუნქცია არ შეცვლილა, გაიზარდა მხოლოდ მისი პასუხისმგებლობა შვილებისა და მთელი კაცობრიობის წინაშე. ქართველ ქალბატონებს კვლავ ისტორიული მისია გაკისრიათ ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის ფორმირებაში. ხელისუფლების მოვალეობაა, ყველანაირად ვიზრუნოთ თქვენზე. ჩვენ ვცდილობთ, შესაძლებლობის ფარგლებში ვიზრუნოთ და დავეხმაროთ გაჭირვებულ ქალბატონებსა თუ მათ ოჯახებს. ხელი შეუწყოთ ქალის როლის ამაღლებას და მის სრულფასოვნად ინტეგრირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მომავალში კიდევ ბევრ სასიამოვნო სიახლეს ვგეგმავთ, რომელიც ჩვენი მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემების ზრდას შეუწყობს ხელს. მინდა, ყველას გისურვოთ მხნეობა, ჯანმრთელობა, წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში, რადგან არ არსებობს ცხოვრების სფერო, სადაც აქტიურად არ იყოს ჩართული ქალი. თქვენს ხელთაა ერის მომავალი. გილოცავთ მარტის მშვენიერ დღესასწაულებს, გისურვებთ მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრებას, ჯანმრთელობას და სულიერ მხნეობას!

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის გამგებელი

მინდა ყველა ქალბატონს, განსაკუთრებით კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალბატონებს, მივულოცო გაზაფხულის დადგომა და ქალთა ულამაზესი დღესასწაულები.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მანდილოსნები ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ და ეს დღესაც ასეა. ქალის უპირველესი უფლება და ღირსება კი დედობაა, ქართული დედა-შვილობა მართლაც განსაკუთრებული ფენომენია. დედა, რომელიც საკუთარ ცხოვრებას შვილების აღზრდას უძღვნის , საჭიროების შემთხვევაში, მტერთან საბრძოლველად გზას ულოცავს. სწორედ ამ ფენომენმა გადალახვინა ჩვენს ერს ისტორიული ქარტეხილები და დღევანდელ დღემდე მოიყვანა.

თანამედროვე საზოგადოებაში დედისა და ქალის ფუნქცია არა თუ დაკნინდა, გაიზარდა კიდეც. ქალის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე დღითიდღე იზრდება. მანდილოსნები აქტიურად არიან წარმოდგენილნი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში. მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებშიც.

ჩვენი უპირველესი მოვალეობაა მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი იმ სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას,რომლებიც ქალთა საყოფაცხოვრებო და ჯანმრთელობის მომსახურების პირობებს გააუმჯობესებს. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, შენდება ახალი საავადმყოფო, უახლოეს მომავალში იგეგმება ექვსი სოფლის გაზიფიცირება, ეტაპობრივად იხვეწება და უმჯობესდება სოციალური პაკეტებიც.

მანდილოსნებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ მარტის მშვენიერ დღესასწაულებს, გისურვებთ მშვიდობას, კეთილდღეობას და ბედნიერი დღეების სიმრავლეს.

ზვიად ჯავახიშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სოფლის პროგრამებისთვის დედოფლისწყაროს 443 529 ლარი გამოეყო

მიმდინარე წლიდან საქართველოს რეგიონებში სოფლის დახმარების პროგრამა გარკვეული ცვლილებებით განხორციელდება. იზრდება საკრებულოების უფლებამოსილება, დასახლებულ პუნქტებს სწორედ საკრებულო დაუმტკიცებს შესაბამის თანხებს. საერთო ჯამში, 2015 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის გათვალისწინებულია 50 მილიონი ლარი. ეს თანხა სოფლებზე მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე ნაწილდება.

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ჯამში 443 529 ლარი გამოეყოფა. როგორც დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, თანხა მუნიციპალიტეტის 15 ტერიტორიულ ორგანოზე სულადობის მიხედვით გადანაწილდა.

ყველაზე მეტ თანხას სოფლები: სამრეკლო და ზემო ქედი მიიღებენ, ყველაზე ნაკლებს კი -ჭოეთი და თავწყარო. დანარჩენ სოფლებში თანხები ასე გადანაწილდება:

სამრეკლო - 53 844 ლარი; ზემო ქედი - 47 744 ლარი; ქვემო ქედი - 44 861 ლარი; ზემო მაჩხაანი - 42 931 ლარი; ხორნაბუჯი - 41 787 ლარი; არბოშიკი - 36 318 ლარი; გამარჯვება - 31 516 ლარი; სამთაწყარო - 31 302 ლარი; არხილოსკალო - 28 740 ლარი; ოზაანი - 26 298 ლარი; ფიროსმანი - 16 757 ლარი; მირზაანი - 15 804 ლარი; საბათლო - 13 981 ლარი; ჭოეთი - 5 906 ლარი; თავწყარო - 5 740 ლარი.

სოფლის კრებები უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს, სადაც სოფელში ჩასატარებელ სამუშაოებს შორის პრიორიტეტს ადგილობრივი მოსახლეობა შეარჩევს და კრების ოქმში შეიტანს.

გასულ კვირას კახეთის მუნიციპალიტეტებს, მათ შორის დედოფლისწყაროს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების სამმართველოს კახეთის კოორდინატორი დავით წასიძე ეწვია. მან დედოფლისწყაროს გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებს და ტერიტორიულ ორგანოებში გამგებლის წარმომადგენლებს სოფლის პროგრამის დეტალები გააცნო და იმ ცვლილებებზე ისაუბრა, რაც მიმდინარე წლიდან უნდა ამოქმედდეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

სამინისტროს წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა ის პრიორიტეტული სამუშაოები, რომელთა განხორციელებას სამინისტრო რეკომენდაციას უწევს და პირიქით. წასიძის განმარტებით, აუცილებელია სოფლის მაცხოვრებლებმა ისეთი პრიორიტეტი შეარჩიონ და იმგვარი პროექტის განხორციელება დაიწყონ, რომელიც მუნიციპალიტეტს ექვემდებარება და არ შედის სხვა რომელიმე სამინისტროს მოვალეობაში. მთავარი გზავნილი იყო ის, რომ დაფინანსდეს შედარებით მდგრადი და არა ერთჯერადი პროექტები.

სამინისტროს უკვე გაწერილი აქვს არარეკომენდირებულ სამუშაოთა სია, რომელშიც გზების მოხრეშვის სამუშაოებიც მოხვდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ფიქრობენ, რომ მოხრეშვის სამუშაოები არაეფექტურია, მცირეხნიან ეფექტზეა გათვლილი და მასზე ფულის ხარჯვა არ ღირს. მათივე აზრით, არ არის რეკომენდირებული ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხებით სოფლებში რიტუალების სახლების მოწყობა, ან რელიგიური ადგილების კეთილმოწყობა და ა.შ.

სამინისტროს წარმომადგენლებმა სოფლის რწმუნებულებს მოუწოდეს, სოფლის კრებებზე მაქსიმალურად მეტი ადამიანის დასწრება და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება უზრუნველყონ, რათა შემდგომში არ იყოს განცდა და შენიშვნები, რომ პრიორიტეტები მათი ჩართულობის გარეშე შეირჩა.

„ჩვენი წარმომადგენლები უკვე ჩავიდნენ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში და ის სიახლეები გავაცანით, რომელიც წლევანდელი დადგენილებით არის გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია, რომ გამგებლის წარმომადგენლებს დეტალები და პროგრამის მიმდინარეობის ვადები პირადად გავაცანით. ვისაუბრეთ თანხების განაწილების სქემაზე.

(გარძელება გვ.3)

ახალშობილთა ჟურნალი

გვ.4

ქალი,რომელიც სასმელი წყლის სისუფთავეზე ზრუნავს!

საპატრიარქოს სკოლას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

გვ.2

პროგრამაში „დანერგე მომავალი“ მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო

გვ.3

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი – საქართველოში არის სამართლიანი, გამჭვირვალე და უსაფრთხო საინვესტიციო გარემო

საქართველოში არის სამართლიანი, გამჭვირვალე და უსაფრთხო საინვესტიციო გარემო და თქვენს მიერ განხორციელებული ინვესტიციის თითოეული ცენტი იქნება მაქსიმალურად დაცული კანონისა და სახელმწიფოს მიერ, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის ბიზნეს-ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოსთვის თურქეთი და აზერბაიჯანი არიან მეგობარი სახელმწიფოები და მთავარი პარტნიორები.

"ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ეს ფორუმი ტარდება ბათუმში და დარწმუნებული ვარ, მოგვცემს შესაძლებლობას, კიდევ უფრო ინტენსიურად ითანამშრომლონ ჩვენმა ბიზნესმენებმა. როგორც წესი, სწორედ ასეთი ფორმატი უწყობს ხელს საკითხების უფრო ეფექტურად გადაწყვეტას, ასევე სამომავლო გეგმების დასახვას. იმედი მაქვს, რომ ჩვენი შეხვედრა ნაყოფიერი იქნება და არაერთ ახალ ინიციატივას ჩაეყრება საფუძველი. დღეს კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აზერბაიჯანთან და თურქეთთან ჩვენ გვაკავშირებს სამაგალითო კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობები, რითაც მე პირადად ვამაყობ. ჩვენთვის საამაყოა, როცა ასეთი ძლიერი პარტნიორები გყავს, პარტნიორები, რომლებიც მსოფლიოში სხვადასხვა ბიზნესსექტორში მოწინავე პოზიციებზე არიან", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, უკანასკნელი წლები საქართველო-თურქეთის და საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკურ ურთიერთობებში, ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია.

"დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ეს ტენდენცია შენარჩუნდება და ჩვენი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს უფრო მეტი საინტერესო და წარმატებული პროექტის განხორციელებას. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის ძირითადი მოთამაშეები იყვნენ ძლიერად წარმოდგენილი და ჩვენ, როგორც თქვენი საიმედო პარტნიორები, ვაფიქსირებთ მზაობას, კიდევ უფრო ბევრი წარმატებული პროექტი განვახორციელოთ ერთად. მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მთავრობა მაქსიმალურად ზრუნავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ბიზნესის ხელშეწყობისა და წახალისებისათვის. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ საქართველოში კიდევ უფრო მიმზიდველი საინვესტიციო გარემო შევქმნათ და ხელი შევუწყოთ ინვესტიციების შემოსვლას საქართველოში", - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს აქვთ საკმარისი პოტენციალი და შესწევს იმის ძალა, რომ მთლიანად რეგიონი აქციოს მნიშვნელოვან მოთამაშედ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში.

"მინდა როგორც მთავრობის მეთაურმა გითხრათ, რომ ჩვენი ქვეყნის კარი ყოველთვის ღიაა თქვენთვის. მინდა კიდევ ერთხელ დაგარწმუნოთ, რომ საქართველოში ნამდვილად არის სამართლიანი, გამჭვირვალე და უსაფრთხო საინვესტიციო გარემო და თქვენს მიერ განხორციელებული ინვესტიციის თითოეული ცენტი იქნება მაქსიმალურად დაცული კანონისა და სახელმწიფოს მიერ", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ნუკრიანში საზოგადოებრივი ცენტრი და ბიბლიოთეკა გაიხსნა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა საზოგადოებრივი ცენტრი და ბიბლიოთეკა გახსნეს.

ნუკრიანის საზოგადოებრივ ცენტრში დაინერგა ახლებური, თანამედროვე ბიბლიოთეკის მოდელი. საზოგადოებრივ ცენტრს აქვს შესაძლებლობა ბიბლიოთეკის ფუნქციებთან ერთად, გასცეს სხვადასხვა სახის სახელმწიფო თუ კერძო სექტორის სერვისი; ხელმისაწვდომი გახადოს მობილური ოპერატორებისა და ბანკის სერვისებიც.

ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება ისარგებლოს უფასო ინტერნეტით. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს წარმომადგენლებს ინიციატივით მიმართა, რომ აღნიშნულ ბიბლიოთეკას მხატვარ დავით კრაწაშვილის სახელი მიენიჭოს.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფორმაციით, გრიპის ვირუსთან დაკავშირებით პანიკის საფუძველი არ არსებობს

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის მტკიცებით, გრიპის ვირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში პანიკის საფუძველი არ არსებობს.

როგორც ამირან გამყრელიძემ "ინტერპრესნიუსს" თემის კომენტირებისას განუცხადა, წელს გრიპის ვირუსით გამოწვეული ავადობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მშვიდია და ამ მხრივ, ქვეყანაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სტატისტიკა ცენტრის ვებ გვერდზეა განთავსებული, სრულ შესაბამისობაშია ყოველწლიურ სურათთან და არ აჭარბებს გასული წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს.

მისივე ინფორმაციით, წელს საქართველოში, ძირითადად, B ტიპის გრიპის ვირუსი ცირკულირებს, რომელიც შედარებით კეთილსაიმედო მიმდინარეობით გამოირჩევა. წელს ლაბორატორიულად 153 B ტიპის ვირუსი და 3 A ტიპის ვირუსი გამოვლინდა. საბედნიეროდ, ლეტალურად არც ერთი შემთხვევა არ დასრულებულა.

ამასთან, ცენტრი მოსახლეობას რეკომენდაციებს აძლევს. მაღალი ტემპერატურის, თავის, კუნთების, სახსრების ტკივილის, საერთო სისუსტის, ხველის, ყელის ტკივილის, შემცივნების სიმპტომების შემთხვევაში, რაც შეიძლება სწრაფად მიმართონ ექიმს, განსაკუთრებით ბავშვების შემთხვევაში, როდესაც ტემპერატურა ერთ დღეზე მეტია. ამავე დროს, საჭიროა საერთო სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა. ოთახის ხშირად განიავება. დიდ თავყრილობებზე, ხალხის მასაში ნაკლებად ყოფნა და დაავადებულ ადამიანებთან კონტაქტისგან თავშეკავება.

საპატრიარქოს სკოლას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ საპატრიარქოს მიერ დედოფლისწყაროში დაფუძნებული მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის გენერალური დირექტორის თანამდებობა დატოვა. მისი ადგილი ეპარქიის ახალმა მღვდელმთავარმა დიმიტრი კაპანაძემ დაიკავა. როგორც გაზეთ „შირაქს" სკოლაში განუცხადეს, შესაბამისი ბრძანება უკვე გამოიცა. ეპისკოპოსმა მელქისედეკმა კი მარგვეთის და უბისის ეპარქიაში სასულიერო გიმნაზია ჩაიბარა.

ეპარქიებში ეპისკოპოსების ცვლილების შემდეგ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მეუფე მელქისედეკი სკოლის ხელმძღვანელად კვლავაც გააგრძელებდა მუშაობას, რადგან ა(ა)იპ-ის დამფუძნებელი სწორედ ის იყო.

ვინაიდან დეკანოზი ნოე კილაძე ამიერიდან მარგვეთის და უბისის ეპარქიაში იმსახურებს, ვაკანტური გახდა სამეურნეო და სასულიერო დარგში სკოლის აღმასრულებელი დირექტორის ადგილიც. მისი შემცვლელი ამ ეტაპზე შერჩეული არ არის.

სკოლის აღმასრულებელი დირექტორის, მაია ლაპიაშვილის განმარტებით, მეუფე დიმიტრი უკვე აქტიურად ჩაერთო სკოლის მართვის პროცესში.

„მეუფე დიმიტრი რამდენჯერმე ეწვია სკოლას, დედის დღესთან დაკავშირებითაც ჩვენთან იმყოფებოდა და ღონისძიებას დაესწრო. ახალი სასწავლო წლიდან ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა მაღალი კლასების მოსწავლეთა მისაღებად დამატებითი ავტორიზაციის გავლას გეგმავს. ამისათვის კი უახლოეს მომავალში შესაბამისი ლაბირატორიების და სპორტული მოედნის მოწყობა იგეგმება. უკვე შერჩეულია შესაბამისი ფართიც. უახლოეს დღეებში დავიწყებთ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, რომ 7-9 კლასების ავტორიზაციაც მოვიპოვოთ. საბედნიეროდ, სკოლის მდებარეობა და ეზო გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ავტორიზაციისთვის საჭირო მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ და სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოვაწყოთ. შესაბამისი ფართი გვაქვს. ეს ტერიტორია ადრე რუსულ ჯარს ეკუთვნოდა, შემდეგ ეპარქიამ შეიძინა და სამომავლოდ მის კიდევ უფრო განვითარებას და პანსიონის შექმნასაც გეგმავს," - აღნიშნა მაია ლაპიაშვილმა.

მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა დედოფლისწყაროში გასული წლის ოქტომბრიდან გაიხსნა. სკოლა საპატრიარქოდან ყოველწლიურად 140 000 ლარით ფინანსდება, ცალკეული კატეგორიის ოჯახების მოსწავლეთათვის სკოლაში სწავლების პროცესი უფასოა.

ილია მარტყოფლიშვილი

ხადური – ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შემცირება გარე შოკებით არის გამოწვეული

საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შემცირება გარე შოკებით არის გამოწვეული.

როგორც მან მთავრობის დღევანდელი სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, წელს ეკონომიკური აქტივობა გაზრდილია, მათ შორის, ინფრასტრუქტურული მიმართულებით. კითხვაზე, მაშინ რატომ ამცირებს საქართველო ეკონომიკური ზრდის პროგნოზს, ფინანსთა მინისტრმა შემდეგი განაცხადა:

„ჩვენს მთავარ ეკონომიკურ პარტნიორებში (და ეს არ შეეხება მხოლოდ რუსეთს) ეკონომიკური პროცესები გაუარესებულია, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორში, როგორიც აზერბაიჯანია, რომელსაც ნავთობის გაიაფებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა. თავისთავად ცხადია, ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკაზე აისახება".

ცნობისთვის: საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5-დან 2 პროცენტამდე მცირდება.

პაატა ზაქარეიშვილი სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით მომუშავე ქალბატონებს დაუჭილდოებს

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით მომუშავე ქალბატონებისთვის ქალთა საერთაშორის დღის აღსანიშნავად მიღებას გამართავს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან აცნობეს, მიღება სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ხვალ გაიმართება, სადაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით მომუშავე აქტიურ ქალბატონებს 8 მარტს მიულოცავს და სიმბოლურ საჩუქრებს გადასცემს.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ეთნიკური უმცირესობების წამომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით მომუშავე სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალბატონები.

ტელეკომპანია" მაესტრო" აქცია „შემოულაწუნეს" ორგანიზატორებს მიმართავს

ტელეკომპანია" მაესტრო" გუშინ გამართულ აქციაზე ფოტოკორესპონდენტის ცემის ფაქტს ეხმაურება და აქცია „შემოულაწუნეს"ს ორგანიზატორებს მიმართავს. "შირაქი" ტელეკომპანია „მაესტროს" განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

" „მაესტრო" მიიჩნევს, რომ მომხდარი არის ჟურნალისტურ საქმიანობაში უხეში ჩარევა, რომლის მსხვერპლიც შესაძლოა, გახდეს თითოეული და ნებისმიერი ჟურნალისტი, რომელიც საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასრულებს.

ამიტომ, ტელეკომპანია „მაესტრო" არ დაუთმობს ეთერს აქციის ორგანიზატორ პოლიტიკურ ძალებს და უარს ამბობს გააშუქოს მათი აქტივობა, ვიდრე:

1. აქციის ორგანიზატორი პოლიტიკური ძალების ლიდერები საჯაროდ არ აიღებენ პასუხისმგებლობას მომხდარ ინციდენტზე.

2. აქციის ოგანიზატორი პოლიტიკური ძალების ლიდერები საჯაროდ არ მოიხდიან ბოდიშს მომხდარის გამო.

3. ვიდრე, ფოტორეპორტიორ ირაკლი გედენიძეს არ აუნაზღაურებენ მატერიალურ ზარალს.

4. ვიდრე, ინციდენტში მონაწილე პირები არ დაისჯებიან კანონის შესაბამისად.

"მაესტრო" აფიქსირებს, რომ იგივე პოზიციას დაიკავებს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის თუ ძალის მიმართ, თუ ადგილი ექნება ანალოგიურ ინციდენტებს", - ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ გუშინ "ვარდების მოედანზე" აქცია „შემოულაწუნეს" მსვლელობისას, მონაწილეების მხრიდან მოხდა ფოტორეპორტიორ ირაკლი გედენიძეზე თავდასხმა. ფოტორეპორტიორი ფიზიკურად დაშავდა და დაზიანდა მისი კუთვნილი ტექნიკა.

პროგრამაში „დანერგე მომავალი“ მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების პროცესი დაიწყო

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ ახალი პროექტის - „დანერგე მომავალი“ -დაწყების შესახებ განცხადება გააკეთა. 6 მარტიდან სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების პროცესი დაიწყო.

პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელებისთვის ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯება. მისი მიზანია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (თბილისის, რუსთავის, ბათუმის და ფოთის გარდა) სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა, მრავალწლოვანი ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის გზით. ახალი პროექტის განხორციელების შედეგად, მეწარმეები და ფერმერები შეძლებენ აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციას გაუწევს კონკურენციას. ამავე დროს, გაიზრდება ქვეყნის აგრარული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი.

დაფინანსების მისაღებად, ბენეფიციარმა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში უნდა წარმოადგინოს სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური პროექტი (პროექტის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს საგენტოს მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით), თანმდევ დოკუმეტაციასთან ერთად, რის შემდგომაც, სააგენტო განიხილავს პროექტს და პროექტის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში, დასამტკიცებლად წარუდგენს „თანადაფინანსების კომიტეტს“,

პროექტის დამტკიცების შემთხვევაში კი, სააგენტო განახორციელებს სანერგე მეურნეობის დაფინანსებას.

პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს:

- ბაღის გაშენების შემთხვევაში - ნერგების ღირებულების 70%-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს;
- სანერგე მეურნეობის შემთხვევაში - მეურნეობის შექმნის ღირებულების 50 % -ს.

ბაღის გაშენების ან სანერგე მეურნეობის მოწყობის სრულად დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო თანადაფინანსებასთან ერთად, ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით.

გარდა სახელმწიფო თანადაფინანსებისა, პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები მიიღებენ დამატებით სარგებელს:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საჩუქრად მიიღებენ შესაწამლ აპარატებს;
- ყველა ბენეფიციარს აუნაზღაურდება ნიადაგის ლაბორატორიული შემოწმების ღირებულება;
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყველა ბენეფიციარი მიიღებს ტექნიკურ დახმარებას ბაღის / სანერგე მეურნეობის მოვლის პრაქტიკული ტრეინინგისა და თეორიული კურსის სახით.

პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად:

1 000 — 1 200 ჰა-ზე გაშენდება თანამედროვე ტიპის ბაღი და 30 — 40 ახალი, თანამედროვე სანერგე მეურნეობა, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტჩანაცვლების, ხოლო, მეორე მხრივ, საექპორტო პოტენციალის ზრდის პროცესს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესდება, რამ გამოიწვია “იფქლის” პურის გაძვირება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია აცხადებს, რომ პურის გაძვირების ვერანაირ ლოგიკურ გამართლებას ვერ ხედავს.

როგორც მინისტრმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე პურის გაძვირებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხისას განაცხადა, საუბარია იმაზე, რომ “იფქლმა” გააძვირა მხოლოდ პური. “თუ არ ვცდები, ფასი პურის ორ სახეობაზე გააძვირა. მათი არგუმენტი იყო, რომ პურის ფასი ისედაც დაბალი ქონდათ და გაუთანაბრეს არსებულ ფასებს. მათ არ ჰქონდათ არანაირი საფუძველი. ქრონოლოგიურად რომ გავიხსენოთ წარსული, 2013 წლამდე ფქვილის ფასი იყო დაახლოებით ის, რაც არის დღეს. როდესაც 2013 წელს გაიაფდა და ჩამოვიდა 36 ლარზე, პირობა დადეს, რომ თუ ფქვილის ფასები კიდევ გაიზრდებოდა, არ გააძვირებდნენ პურს და დატოვებდნენ იმ ფასზე, როგორც იყო. შესაბამისად, როგორც ჩანს, მათ ეს პირობაც დააარღვიეს. ჩვენ აუცილებლად მოვიკითხავთ, თუ რა მიზეზები იყო ამის უკან. ჯერ ჩვენ მყარი არგუმენტები ვერ მოვიძიეთ”, -განაცხადა დანელიამ.

მინისტრის განცხადებით, ისინი არ ერევიან კერძო ბიზნესის საქმიანობაში და შესაბამისი ზღვარის დაცვით ეცდებიან, მოიძიონ არგუმენტაცია, რათა სამომავლოდ ანალიზი გაუკეთონ, არის თუ არა კიდევ ვინმესგან პურის გაძვირება მოსალოდნელი.

სოფლის პროგრამებისთვის დედოფლისწყაროს 443 529 ლარი გამოეყო

(პირველი გვერდიდან)

პროგრამის მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება და პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობაა. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად თანხების ოპტიმალური გამოყენებისთვის, გამგებელის წარდგინებით ადგილობრივ საკრებულოს შესაძლებლობა ექნება, ნარჩენი თანხები, რომელიც 2012-დან 2014 წლამდე დარჩა, ეფექტურად იქნას გამოყენებული და ასევე, წლევანდელი პროგრამიდან დარჩენილი თანხები ისევ ახალი პროექტის

დაფინანსებისკენ მიიმართოს,“ - აღნიშნა დავით წასიძემ.

„საინტერესო შეხვედრა იყო. ამგვარი საქმიანი ვიზიტები ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, რომ პროგრამა ცვლილებებით უნდა განხორციელდეს. სამინისტროს წარმომადგენლებმა კი დეტალურად გაგვაცნეს სოფლის პროგრამის არსი, მასში შესული ცვლილებები და ჩვენს შეკითხვებს უპასუხეს. ასეთი შეხვედრები დაგვეხმარება, რომ სოფლებში მოსახლეობასთან სწორი ინფორმაცია მივიტანოთ და ხარვეზების გარეშე, რაც შეიძლება ეფექტურად განვახორციელოთ სამუშაოები. უახლოეს დღეებში ჩავატარებთ სოფლის საერთო კრებებს და ერთობლივად, მოსახლეობის სურვილების გათვალისწინებით მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ რა პროექტები განხორციელდეს,“ - აღნიშნავს სოფელ არბოშიკში გამგებლის წარმომადგენელი მურად ელაშვილი.

პროგრამით გამოყოფილი თანხა უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას, რეაბილიტაციას ან კეთილმოწყობას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას. განსახორციელებელი პროგრამების დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე; პროგრამის ფარგლებში შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება მიმართული უნდა იყოს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური, ყოფითი ან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;

სამუშაოთა შესასრულებლად, მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი მოსახლეობა. საერთო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია, რამდენიმე სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გაერთიანება ამ სოფლების საერთო პრობლემის (მაგალითად, სასმელი ან სარწყავი წყლის სისტემები და სხვა) გადასაწყვეტად.

ილია მარტყოფლიშვილი

ახალშობილთა ქურუმი

თითქმის ორი წელია, ინტერვიუს ვთხოვ და როგორც იქნა დავითანხმე! ხან რა მოიმიზეზა და ხან რა...უყვარს ჩრდილში ყოფნა, ძალიან თავმდაბალია, მეც თავი არ დავანებე! იმიტომ კი არა რომ, ძალიან მიყვარს, ძალიან მაღალი რანგის სპეციალისტია და ჩემი სამი შვილის ჯანმრთელობა მას მივანდე, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოების რჩეულია , ხალხს ძალიან უყვარს და ენდობიან...ჩვენს ოჯახში ასეთი ეპითეტით მოვიხსენიებთ:აკადემიკოსი...დიახ გახდებოდა კიდეც, მშობლიურ რაიონში რომ არ დაბრუნებულიყო... დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია, ყველასათვის კარგად ცნობილი ნეონატოლოგი **მარინე ხარაშვილი.**

მისი მინი დოსიე ასეთია: 1969 წელს გურჯაანის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პედიატრიულ ფაკულტეტზე, ინტერნატურის დამთავრების შემდეგ 3 წელი წითელწყაროს რაიპოლიკლინიკაში უბნის პედიატრად მუშაობდა, ამის შემდეგ ჩაირიცხა კლინიკურ ორდინატურაში და სააასპირანტო პრაქტიკას ეწეოდა პროფესორ კვაჭაძის კათედრაზე, მისი დამთავრებისთანავე კვლავ ბრუნდება მშობლიურ რაიონში და 1982 წლიდან დღემდე მუშაობს დედოფლისწყაროს რაისაავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების მთავარ მიკროპედიატრად (ნეონატოლოგი). 2014 წლის მარტიდან, პარალელურად, დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმუნიზაციის პასუხისმგებელი ექიმია.

დღეს ქალბატონი მარინა უპასუხებს ჩვენს შეკითხვებს მის მიერ 33 წლის მანძილზე სამედიცინო სფეროში გაწეული ღვაწლის შესახებ...

- როდესაც პირველად ჩვილ ბავშვთა განყოფილებაში აღმოვჩნდი, მალევე მივხვდი, რომ სულ სხვა სამყაროში მოვხვდი, მათგან უდიდესი დადებითი ემოცია მოდიოდა,ხან პედიატრი ვხდებოდი, ხან ნევროლოგი,ზოგჯერ ყელ-ყურის ექიმიც, პროფესიაში ხშირი გარდასახვა მიხდებოდა, ამიტომ ავიმაღლე მიკროპედიატრიის კვალიფიკაცია და მალე ეს პროფესია ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და საყვარელი გახდა...მოვიდა ახალშობილთა მიმართ უდიდესი სიყვარულიც... აფხაზეთის ომამდე წელინადში 700-800-მდე ადიოდა მშობიარეთა რაოდენობა ჩვენს რაიონში, სამწუხაროდ, მაშინ წლის განმავლობაში ახალშობილთა განსაკუთრებული ტრავმებით ან თანდაყოლილი ანომალიებით შობადობის ფატალურად დასრულების ერთეული შემთხვევებიც ფიქსირდებოდა. იმ პერიოდში უფლება არ გვქონდა, მეშვიდე დღემდე ახალშობილთა ტრანსპორტირების, არ არსებობდა რეანიმობილები, მხოლოდ დედაქალაქიდან პროფესორების მოწვევის საშუალება გაგვაჩნდა, ხშირი იყო თანდაყოლილი ანომალიები, მაგრამ გაცილებით ჯანმრთელი თაობები იბადებოდნენ, ვიდრე დღეს. ბოლო 10-15 წელია, მკვეთრად გაუარესებულია ახალშობილთა ჯანმრთელობა, რაც ერთგვარი გამოძახილია, როგორც გენმოდიფიცერებული საკვების, ასევე გაუარესებული ეკოლოგიური ფაქტორების. ომის შემდეგ შობადობამ წლების მიხედვით საგრძნობლად მოიკლო. დღეს, შეიძლება ითქვას, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე ვდგავართ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში გაზრდილია ახალდაქორწინებულთა და ახალშობილთა ხელშეწყობის მასტიმულირებელი ფონდები, ბოლო ორი წლის მონაცემებით, ჩვენს სამშობიაროში მხოლოდ 60-მდე ბავშვი დაიბადა. ეს, რა თქმა უნდა, შობადობის მქონე ახალგაზრდობის რაიონიდან მიგრაციის შედეგიცაა, მაგრამ ამას ჩვენი საავადმყოფოს პირობებიც თან ერთვის, რის გამოც ჩვენი მშობიარენი წნორის, გურჯაანის ან თბილისის სამშობიარო სახლებს მიმართავენ. როგორც გვპირდებიან, მალე, ახალი საავადმყოფოს ბაზაზე გვექნება თანამედროვე, რეანიმატოლოგიური აპარატურით აღჭურვილი და მაღალკვალიფიციური ნეონატოლოგებით დაკომპლექტებული სამშობიარო განყოფილება. მინდა, მომავალ დედებს რჩევის სახით ვთხოვო: მაქსიმალურად გაუფრთხილდნენ თავს ორსულობის პერიოდში, მოიხმარონ სპეციალური (ორსულთათვის გავკუთვნილი) კოსმეტიკა, დაიცვან თავი ვირუსული ინფექციისგან, განსაკუთრებით პირველ სამ თვეს, არ მიიღონ ალკოჰოლი, ასევე, განსაკუთრებით პირველ სამ თვეს, ნუ გაჩერდებიან ოთახში, სადაც ეწევიან და წინასწარ შეემზადონ ფსიქოლოგიურად, რომ ძუძუთი კვება უალტერნატივოა, უკვე ორ წლამდე (ადრე 1 წლამდე გვქონდა რეკომენდაცია) ბავშვის მყარი იმუნიტეტის ჩამოყალიბებისა და ჯანმრთელობისათვის. ძალიან მომწონს ჩვენი ახალი თაობა, ისინი თეორიულად თითქმის მომზადებულები არიან დედობისთვის, ეს ძალიან კარგი ფაქტია.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ახალშობილებს მივუძღვენი, თავი არასდროს დამიზოგავს, იყო ბევრი უძილო ღამე, ძალიან ხშირად ჩემს ახლობლებს ვაკლდებოდი ლხინსა თუ მძიმე წუთების ჟამს, ბევრს შეიძლება ამის გამო გულიც ვატკინე,მაგრამ საკუთარი პროფესიისთვის არასდროს მიღალატია, საქმეს ყოველთვის პირადულზე წინ ვაყენებდი... სხვანაირად, უბრალოდ, წარმოუდგენლად მიმაჩნდა. დღეს, როდესაც ამ გადასახედიდან ვაანალიზებ განვლილ საქმიანობას,არაფერს ვნანობ, ვფიქრობ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი თუ ვერ გამოვიყენე , რაღაც ნაწილით მაინც შვება მივეცი ჩვენი რაიონის იმ მომავალ თაობებს, რომლებსაც ჩემი დახმარება სჭირდებოდა ოდესმე...ასე მოკრძალებულად დაასრულა ჩვენთან საუბარი ძალიან დიდი პოტენციალისა და გამოცდილების მქონე ექიმმა ქალბატონმა, რომელმაც პირადი ცხოვრება საკუთარი ძმისშვილების აღზრდას მიუძღვნა, ისინი ხუთნი არიან და ერთმანეთზე საუკეთესონი..."ის ურჩევნია მამულსაო"... დიახ, ქალბატონი მარინა სოფელ სამრეკლოში ერთ-ერთი გამორჩეულად საუკეთესო და წარჩინებული ოჯახის, ელენე და აბრამ ხარაშვილების უმცროსი შვილია, მისი ძმა გივი პოლიციის პოლკოვნიკი,უკვე დამსახურებულ პენსიაზეა, რძალი ლია ბინკინაშვილი თბილისის ერთ-ერთი სკოლაში დაწყებითი სწავლების პედაგოგია. მათ კი, ყველამ ერთად, მარინა ექიმის გვერდში დგომით, ქვეყანას 5 საუკეთესო ახალგაზრდა აღუზარდეს:

ელენე – სტომატოლოგია თბილისის ნინო ბერიძის სახ. ორთოდონტიულ ცენტრში;

ანუკი – მხატვარი;

მაგდა – დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საჯარო რეესტრის ხელმძღვანელი;

დავითი – ფინანსისტი, თბილისის ერთ-ერთ მიკროსაფინანსო განყოფილებაში.

ნინო – „თიბისი ბანკის" თანამშრომელია;

მარინა ექიმს მათგან უკვე ოთხი ძმისშვილიშვილი ჰყავს, ორსაც ელოდება. ისინი კი, ყველა ერთად, მისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიმდიდრეა...

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ და დამდეგი 8 მარტი მივულოცოთ ჩვენი რაიონის საზოგადოების ერთ-ერთ ღირსეულ, უსაყვარლეს, უძვირფასეს წევრს და ახალშობილთა ქურუმს.

კიდევ მრავალ თაობას გაევლოს თქვენს ხელში, ქალბატონო მარინა, კიდევ მრავალ დედას არ მოშლოდეს თქვენი იმედი!

ელზა ხარაშვილი

ქალი, რომელიც სასმელი წყლის სისუფთავეზე ზრუნავს!

ის ჯერ ღვაწლმოსილი ქალბატონი არაა და მუშაობის ათწლეულს არ ითვლის, მაგრამ ჩვენთვის, თითოეული მოქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, საქმეს, რომლის ხარისხიან და კეთილსინდისიერ მუშაობაზეა დამოკიდებული ჩვენი ყოველდღიურად მიღებული სასმელი წყლის სისუფთავე და მისი დაცვა. უფრო კონკრეტულად, ამ ქალბატონზეა დამოკიდებული ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება....

მარტი ქალების თვეა და ქალებს ვუძღვნით სტატიებს. მე კი, ჩემი თანამედროვეებიდან ისეთი ქალბატონი შევარჩიე, რომელიც ერთდროულად პატარა შვილების აღზრდასაც უძღვება და სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმატებით ართმევს თავს.

თამარ მჭედლიშვილი დაიბადა 1983 წლის 23 ივნისს, 2000 წელს დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინფორმატიკის ფაკულტეტზე, სპეციალობით მეტროლოგია - სტანდარტიზაცია-სერთიპიკაცია და ხარისხის მართვა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე, 2006 წელს, იგი იწყებს მუშაობას სოფელ ხორნაბუჯის ახლადგახსნილ ზეთსახდელ ქარხანაში უმცროს ლაბორანტად, სადაც ორი წლის განმავლობაში მუშაობდა და პირველადი წარმოების ზეთს ახალი თანამედროვე ტექნოლოგიებით ამუშავებდნენ. მალე ქარხანა დროებით დაიხურა და იძულებული გახდა, მიღებული გამოცდილების საფუძველზე განაცხადი შეეტანა მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმების კუთხით. მაშინდელმა ხელმძღვანელობამ შეისწავლა მისი საქმიანობა, გადახედეს მის ორწლიან გამოცდილებას და დააკმაყოფილეს მისი განცხადება წყალკანალის ლაბორანტის თანამდებობაზე საცდელი ვადით. მელე თამარ მჭედლიშვილი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ქიმიკოსად მიიღეს, ამ ეტაპზე თამარ მჭედლიშვილი საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრში წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზების მართვას აწარმოებს და ლაბორანტის თანამდებობას იკავებს. ბავშვობის წლებს თამარ მჭედლიშვილი ძალიან დიდი სისათუთით იხსენებს, ყოფილა საკმაოდ კარგი მოსწავლე, სანიმუშო გოგონა და ყოველმხრივ მოწესრიგებული ახალგაზრდა. აქტიურად იყო ჩართული სკოლის თუ რაიონულ კულტურულ ღონისძიებებში. საუკეთესოდ მღეროდა ჩონგურზე და ჰქონდა ძალიან ლამაზი ხმა, თუმცა თავისი კომპლექსებისა და სიმორცხვის გამო, სცენაზე გასვლა არ ჰყვარებია. მისი სიმღერის პედაგოგი ჩვენი საუკეთესო ლოტბარი გელა გველუკაშვილი ყოფილა, სწორედ მასთან მოსწავლეობის დროს ჩვენი კულტურის სახლის სცენაზე დღევანდელ პრემიერ მინსტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთადაც უმღერია.

– თამარ, უპირველესად არ შემიძლია არ გითხრა მთავარი, შენზეა მთელი დედოფლისწყაროს მოსახლეობის იმედი დამყარებული, რაც წყლის სისუფთავეს შეეხება, მე მიმაჩნია, რომ შენი როლი საკმაოდ დიდია ჩვენი კეთილდღეობის საქმეში, რაც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ ონკანის წყალს არ ვსვამთ, ნებისმიერი ჩვენი რაიონის მკვირდი პოტენციურად, ნებით თუ უნებლიედ, მაინც ონკანის წყლის მომხმარებელია, რამდენად საპასუხისმგებლოა შენთვის შენი სამსახურებრივი მოვალეობები და როგორი განცდაა ეს?!

– პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ უპასუხისმგებლო სამსახური არ არსებობს და თითოეული სამსახურის შეცდომა შესაძლოა ძვირად დაუჯდეს ნებისმიერს. პირადად მე ვიტყვი, რომ წლების გამოცდილებამ, მოსმენილმა ტრენინგებმა და ახალი ტექნოლოგიების შემოტანამ ჩვენი წყლის ხარისხის შესწავლა ბევრად გააუმჯობესა, თუმცა, მე, როგორც ლაბორანტს, ესეც არ მაკმაყოფილებს. მართალია, სხვა რაიონებში გასვლისას ვნახე, რომ ანალიზების აღებით და აქტივობით არ ჩამოვუვარდებით მათ ლაბორატორიებს, მაგრამ მე უფრო მაღალი ხარისხის წყალი მსურს ჩვენი მოსახლეობისთვის. მოგეხსენებათ, ჩვენი წყალი კირქვიანია და მძიმე დასალევია, ხისტი წყალი გვაქვს, ამიტომ კიდევ უფრო უკეთესი ხარისხის მისაღებად, ვიდრე დღეს გაგვაჩნია, ტექნოლოგიებია საჭირო, რაც ფინანსებთანაა პირდაპირ კავშირში. მე მინდა, რომ ჩვენს რაიონს ფილტრაციის დანადგარი ჰქონდეს, ეს აღჭურვილობა, დღესდღეობით, საქართველოში მხოლოდ თბილისის და ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონებს აქვთ, სადაც ოზონის დასხივება ხდება წყალზე, რაც უზრუნველჰყოფს წყალში ვირუსების და ბაქტერიების თავიდან აცილებას. მე, როგორც ლაბორანტს, მაქვს სურვილი ჩვენთანაც იყოს ოზონის დასხივება, თუმცა ეს ძვირი ფუფუნებაა და რეგიონებამდე ჯერ ვერ აღწევს. ამიტომაცაა, რომ დღეს ჩვენ ბაქტერიების თავიდან აცილების მიზნით ისევ ძველ მეთოდს ქლორს ვიყენებთ ასეა მთელი საქართველოს რეგიონები და ასე ვართ ჩვენც.

– რას ნიშნავს შენთვის იყო მოსამსახურე ქალი?

– პირველ რიგში საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალებაა, ვემსახურები ჩემს რაიონს, სამშობლოს, მსურს ჩემი გამოცდილება და ცოდნა ხალხის საკეთილდღეოდ გამოვიყენო. რა თქმა უნდა, უნდა გამოგიტყდეთ, ამჟამად

(გაგრძელება გვ.5)

ქალები და მათი დღე საქართველოში

ქალთა დღესაც და დედის დღესაც მარტში აღნიშნავენ. ეს დღე მხოლოდ ქალებს უნდა ეკუთვნოდეთ. ქალი ხომ სიცოცხლის საწყისია, ბედნიერებისა და სიყვარულის წყარო, მარტივით თავქარიანი, ჭირვეული, იდუმალი და ამოუცნობი...

თანამედროვე ქალი

ქალის ოჯახური ცხოვრება ბედნიერებითა და სიხარულით რომ იყოს სავსე, ხოლო კარიერა - წარმატებული, ამის მოთხოვნილება მას თავად უნდა ჰქონდეს. თვითონვე უნდა მოინდომოს, უნდა შეეცადოს, რომ მისი გრძნობა და გონება სრულ ჰარმონიაში იყოს ერთმანეთთან.

ქალი ხან ბედნიერი იქნება, ხან უბედური - ეს ცხოვრების კანონზომიერებაა, რომელსაც ვერავინ შეცვლის, თუმცა ბედნიერებისკენ უნდა ისწრაფვოდეს. სხვა საქმეა, რას მიიჩნევს ბედნიერებად... ათასწლეულების განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ქალს მხოლოდ ოჯახური კერის დაცვა ევალებოდა - ის, უპირველესად, კარგი დედა და დიასახლისი უნდა ყოფილიყო, სანიმუშო მეუღლე, პროფესიული თვითრეალიზაცია კი მამაკაცთა პრივილეგიად ითვლებოდა. დღეს ქალები წარმატებული კარიერით მამაკაცებს ტოლს არ უდებენ, ქვეყნის პრეზიდენტობაზეც კი აცხადებენ პრეტენზიას. აქვთ ამბიცია, რომ მშვენივრად შეუძლიათ საკმაოდ მსხვილი ფირმების მართვა. ქალი სულ უფრო და უფრო აქტიურ პოზიციას იკავებს საზოგადოებაში. საზოგადოებრივი პროცესებიც იქით არის მიმართული, რომ შინ თუ გარეთ მთავარი ქალი გახდეს. რაღა თქმა უნდა, მამაკაცი ფიზიკურადაც, სექსუალურადაც და ეკონომიურადაც უფრო ძლიერია და ამას ვერსად გავექცევით, მაგრამ ნებისმიერ ცხოვრებისეულ ვითარებაში ლიდერი მაინც ქალია. მამაკაცთა უმრავლესობაც წინააღმდეგი როდია, ლიდერის ისტორიული როლი ქალს გაუყოს. ის კი არა, ზოგიერთი მზად არის, ლიდერობა მთლიანად მშვენიერ სქესს გადაულოცოს.

პროფესია – დიასახლისი

თანამედროვე ქალიშვილები უფრო და უფრო ხშირად აცხადებენ, რომ მათთვის მთავარი კარიერაა. დრონი იცვალნენ... მათი დედები უმთავრესად ისეთ ოჯახებში იზრდებოდნენ, სადაც „შემომტანი" მამაკაცი იყო. მიიჩნეოდა, რომ ქალს სათანადო განათლება უნდა მიეღო, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ღირსეული შვილები აღეზარდა და მთელი შეძენილი ცოდნა და გამოცდილება ოჯახისთვის მოეხმარებიან. ქალიც, როცა ბედი ისეთ მეუღლეს შეახვედრებდა, რომელსაც ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფა შეეძლო, უმეტესად სიამოვნებით ამბობდა უარს სამსახურზე და დიასახლისთა რიგებს უერთდებოდა. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მათი ცხოვრება მხოლოდ სადილების კეთებისაგან, დალაგება-დასუფთავებისა და ტელეფონზე საუბრისგან, ანდა საათობით ტელესერიალების ყურებისგან შედგებოდა. ქალების უმრავლესობა საკმაოდ განათლებული და გემოვნებიანი იყო, ესწრებოდა კონცერტებს, თეატრალურ წარმოდგენებს, მართავდა წვეულებებს, მოგზაურობდა და... მიაჩნდა, რომ ქალისთვის ეს ერთადერთი სწორი ცხოვრების წესი იყო. ჰოდა, ბუნებრივია, უკვირთ, რომ ახლა მათი ქალიშვილები მზად არიან, თავით გადაეშვნენ ბიზნესის ორომტრიალში და მყუდრო ბინის დიასახლისობა საქმიანი ქალის არცთუ იოლ ცხოვრებაზე გაცვალონ.

სვლა სირთულეებით

იმ ქალების ცხოვრება, რომელთაც კარიერის შექმნა გადაწყვიტეს, ნამდვილად არ არის იოლი და კომფორტული. ისინი მხოლოდ მაღალი კლასის სპეციალისტები კი არ უნდა გახდნენ, არამედ სრულყოფილადაც დაეუფლონ ურთიერთობის ხელოვნებას, შეეძლოთ, დაასაბუთონ თავიანთი კომპეტენტური აზრი, დაარწმუნონ ოპონენტები... გოგონები ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ეძებენ შესაძლებლობას იმუშაონ, პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ, ღრმად ჩასწვდნენ საბაზრო ეკონომიკის არსს. შრომისმოყვარეობას, მონდომებას, ნებისყოფას და მიზანსწრაფვას სასურველი შედეგი მოაქვს - პრესტიჟული სამუშაო და სტაბილური შემოსავალი, სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდა იმის გამო, რომ საკუთარი თავის რეალიზება მოახერხეს... ცხოვრება კი თანდათან დაბრკოლებებით რბოლას ემსგავსება: მიზანი - წარმატება - ახალი მიზანი, კვლავ წარმატება და კვლავ ახალი ამოცანა. მშობლები წუწუნებენ, პირადი ცხოვრებისთვის ვეღარ იცლიო, საღამოობით არაქათგამოლეული და გასავათებული ბრუნდები შინ, ვახშმობის თავიც აღარ გაქვსო. სამაგიეროდ, თავად ხარ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი... რა დასამალია, საქმიანი ქალებიც ოცნებობენ ძლიერ და ერთგულ მამაკაცებზე, ბავშვებზე, მყუდრო სახლზე, მაგრამ ეს მათთვის ცხოვრების ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს. როცა ბიზნესლედი ოჯახს ქმნის, ცდილობს, საოჯახო საქმეები, ბავშვების აღზრდა და მეუღლესთან ურთიერთობა თავის საქმიანობას შეუთავსოს. ეს არც ისე იოლია. კარიერა ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ოჯახს კი ყურადღება აკლდება. თუ ქალს საკმარისი შემოსავალი აქვს, შეუძლია თავს უფლება მისცეს და საოჯახო საქმეებში დამხმარე ან ძიძა აიყვანოს, ანდა ერთიცა და მეორეც, მაგრამ შვილებსა და მეუღლესთან ურთიერთობაში მის ადგილს ვერვინ დაიკავებს. იწყება გაუცხოება, თავს იჩენს პრობლემები, ურთიერთობისა და სიახლოვის დეფიციტი. ასე რომ, ქალს ძლიერი ნებისყოფა და დიდი ენერგია სჭირდება, რათა პროფესიულ ასპარეზზეც და ოჯახშიც სათანადოდ მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება. ამისთვის კი საჭიროა ოჯახის წევრების თანადგომა, ურთიერთგაგება. სწორედ ასე მიიღწევა სრული ჰარმონია და ბედნიერება.

ქალი, რომელიც სასმელი წყლის სისუფთავეზე ზრუნავს!

(მეოთხე გვერდიდან)

ჩემთვის სახელფასო ანაზღაურებასაც საკმაოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მართალია ანაზღაურება არაა საკმარისი, მაგრამ ქალისთვის მაინც რეჟიმი და გარეთ გასვლა, სულ სხვაა. ჩემი პროფესია რომ მიყვარს და მაქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ამას ალბათ ჩემს მიერ განხორციელებული საქმეც ცხადყოფს.

– როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

– დილით ვამზადებ ბავშვებს, მივდივართ სირბილით ჯერ საბავშვო ბაღში, სადაც პატარა ბარბარეს ვტოვებ, შემდეგ სკოლაში, შემდეგ სამსახურში მოვდივარ, სადაც მელოდება ჩემი სამუშაო, წყლის ანალიზების აღება და შემოწმება, მიღებული პასუხების ჟურნალში შეტანა, მაქვს საკმაოდ მძიმე სამუშაო გრაფიკი, რადგან სოფლებში გასვლაც მიწევს წყლის ანალიზების გასაკეთებლად, რაც საკმაოდ შრომატევადი საქმეა. შემდეგ ისევ შვილები, მათი გაკვეთილების მომზადება და სახლი, სადაც ასევე მეორე დღისთვის სამზადისი იწყება და კვლავ ზრუნვა შვილებისთვის სადილის გაკეთებასა თუ სუფთად ჩაცმაზე, მოკლედ საკმაოდ დატვირთული კვირის სამუშაო დღეები მაქვს, საკმაოდ დაძაბული რეჟიმით, მაგრამ ისეთი, რომელსაც გვერდს ვერ ავუქცევ და რომელიც ყველა მოსამსახურე ქალს აქვს გამოვლილი. მადლობა უფალს, მშობლები მეხმარებიან და გვერდში მიდგანან, თორემ ალბათ ბევრად უფრო გამიჭირდებოდა.

– მოსამსახურე ქალებს მუდმივად გვაქვს დროის უკმარისობის განცდა და ეს ლოგიკურიცაა, რა არის შენთვის ის სულიერი ან მატერიალური, რასაც გაძლევს მოსამსახურეობა და ის, რასაც გაკარგვინებს?

– სამსახური მაძლევს დიდ გამოცდილებას, როგორც პროფესიული თვალსაზრისით ასევე ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. დღეს, მე ისეთი პატარა გოგო აღარ ვარ, როგორიც პირველ ეტაპზე სამსახურში გამოსვლის დროს ვიყავი. თანდათან სწავლობ ცხოვრებას და ამას ჩვენ გარკვეულწილად ის საზოგადოება გვასწავლის, სადაც უშუალოდ ვტრიალებთ. სამსახური, თუ ჩავუკვირდებით, ერთგვარი სტრესის მოხსნაცაა ყოველდღიური პრობლემებისგან. ამავდროულად რეჟიმია, რომელიც დროის ფასს გვასწავლის. რას მაკარგვინებს სამსახური? - ოჯახურ იდილიას, დიასახლისობისგან მიღებული სიამოვნების განცდას ხშირად მენატრება ჩემი შვილებისთვის სადილი ღამე კი არა, დღისით გავაკეთო. ამის სიამოვნება მხოლოდ შაბათ-კვირას მაქვს, რასაც განვიცდი რა თქმა უნდა, მაგრამ ვფიქრობ ისევ ეს დანაკლისი ჯობია, ვიდრე ის, რომ სამზარეულოსა და სააბაზანოს ქეთ საქმე არ გქონდეს.

– ამბობენ, ცხოვრება რომ ისწავლო უნდა იცხოვროო, და რომ იცხოვრო, კიდეც უნდა გაგიხარდეს და კიდეც უნდა გეწყინოსო! - შენთვის როგორი ახსნა აქვს ამ სიტყვებს?

– ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრებისგან უკმაყოფილო ვარ, თუ რაღაცით გული მეტკინა, რაღაცაში გამიმართლა და ეს აბალანსებს ჩემს მდგომარეობას. თუ პირადში არ გამიმართლა, არ ვთვლი, რომ ცხოვრებას მთლიანად ირიბად უნდა შეხედო, სამაგიეროდ მყავს შვილები, რომლებზე ზრუნვით და მათთან ერთად გატარებული საათებით უფალი დიდ სიამოვნებას და ბედნიერებას მჩუქნის, რაც, ვფიქრობ, დასაფასებელია და უნდა დავინახო.

– რაკი სიტყვამ მოიტანა, შენი აზრით რა იწვევს იმას, რომ მამაკაცები სისუსტეს იჩენენ და ოჯახურ პასუხისმგებლობაზე უარს ამბობენ, როგორ უყურებთ საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრს, რომ - მამაკაცებს უჭირთ ძლიერი ქალების გვარდით ცხოვრება?

– კი, მამაკაცებს არ უყვართ თავისზე მეტი შესაძლებლობების ქალბატონები. როცა ხედავენ, რომ საკუთარი თავის რეალიზება ისე ვერ მოახდინა საზოგადოებაში, როგორც მის გვერდით მდგომმა ქალმა, მაშინ მათ შორის ბზარი ჩნდება. ჩემს შემთხვევაში გარეშე პირებმაც და გარემო პირობებმაც (საუბარი მაქვს ეკონომიურ მხარეზე) ერთდროულად შეუწყო ხელი იმას, რომ ორივემ ვარჩიეთ დამოუკიდებლად ცხოვრება.

– რა არის შენი სიხარული და ტკივილი?

– სიხარული შვილებისგან მოდის და მომავალშიც ასე იქნება, ტკივილი ისაა, რომ არ არის სახელწიფოებრივი განვითარება ისეთ დონეზე, რომ ადამიანი, როგორც სპეციალისტი, ხელშეწყობილი იყოს და დაფასდეს ისე, როგორც მას ეკადრება, რომ თავისი შესაძლებლობის გამოვლენაში შესაბამისი ხელშეწყობა ჰქონდეს. აი, ესაა ჩემი ტკივილი და უკვე იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემი შვილების ცხოვრებაში მაინც მოხდეს ისე, რომ გაძლიერდეს ჩვენი ქვეყანა.

– როცა შენს თავთან მარტო რჩები, რა არის შენი საფიქრალი?

– უდიდესი საფიქრალია ორი შვილის მარტო აღზრდა და მათი მომავალი. ვფიქრობ იმაზე, თუ რა დონეზე შევძლებ მათ სწავლას და რა მომავალს შევუქმნი. ვფიქრობ ჩემს ქვეყანაზე და იმაზე, როცა როდის დადგება დრო, რომ მცირედით მაინც გაუმჯობესდება რიგითი ადამიანების ეკონომიური პირობები. ადამიანი იმედით ცოცხლობსო, პოლიტიკისგან შორს ვარ, მაგრამ ამჯერად ისე ვარ, ვერაფერს გეტყვით.

– შენი აზრით, ქალის სილამაზის ფორმულა მდგომარეობს...?

– ქალის სილამაზის ფორმულა ჰიგიენა და სულიერი სისუფთავეა. კიდევ ნებისმიერ დროს ქალს უნდა ჰყავდეს კარგი სამეგობრო წრე, სადაც ყველა პრობლემას თავისიფლად მოყვება და ყველა სტრესისგან გათავისუფლდება. ქალში მე ძლიერ ქალბატონებს ვაფასებ, რომელიც არავის დაეჩაგვრინება და საკუთარ აზრს შეუზღუდავად დააფიქსირებს. ასეთ ქალს ვაფასებ და მიმაჩნია, რომ თუ ის ასეთია, მაშინ მას შინაგანი შარმიც და სილამაზეც აქვს.

– თამარ, როგორ რვა მარტს ელოდები?

– არავისგან არაფერს ველოდები, აი, ასე! შვილები მომიკრეფენ ალბათ ყვავილებს. შარშან სამსახურიდან საჩუქრები გვქონდა, მართალია მცირე, მაგრამ მაინც დაგვაფასეს და გაგვიხარდა. წელსაც თუ იქნება ასეთი საჩუქარი, ძალიან გამიხარდება. მე ვფიქრობ, რომ ამ დღეს მსოფლიოში ყველა ქალი უნდა დაფასდეს და თუ არა ყოველდღე, ყველა ქალი ყურადღების ცენტრში მოექცეს ამ ერთი დღით მაინც! მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და ჩემს დედას მივულოცო თქვენი გაზეთის ფურცლებიდან 8 მარტი, დედას, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი და ჩემი შვილების აღზრდაში. მადლობა დედა, ამისთვის და გილოცავ ქალთა დღეს, 8 მარტს. 8 მარტს ვულოცავ ასევე მთელი რაიონის ქალბატონებს, ჩემს პედაგოგებს, ჩემი შვილების პედაგოგებს, ჩემს მეგობრებს, მათ დედებს და ბოლოს, თქვენს ლამაზ კოლექტივს ვილოცავ ამ ულამაზეს დღესასწაულს,- ქალთა დღეს. ყოველი დღე, ყოველი ახალი დილა უკეთესის და უკეთესის მომტანი ყოფილიყოს, ქალბატონებო!

ბედნიერი რვა მარტი შენ თამარ, ღმერთმა მრავალ 8 მარტს დაგასწროს, გახარებული და ყოველმხრივ დაფასებულ ქალბატონად დაგაბეროს ღმერთმა.

ლალი მეხრიშვილი

„არ მოგშლოდეს სიბერის, სიჭარმაგის ეშხი...“

ლალი ბოჭორიშვილი და ჯიმი ალუღიშვილი 1998 წელს ნომინაციაში "საუკეთესო წყვილი" გამარჯვებულად გამოცხადდნენ.

„ძვირფასო ლალი და ჯიმი!

მოსახლეობის გამოკითხვა რომ ჩატარდა "საუკეთესო წყვილის" დასასახელებლად, მე თქვენ შეგარჩიეთ. როდესაც შევიტყე შედეგები, ძალიან გამიხარდა , რომ არ შევმცდარვარ, თქვენ ამ ნომინაციაში გამარჯვებულნი აღმოჩნდით. გისურვებთ, გაგეგრძელებინოთ თქვენი ლამაზი ცხოვრება თქვენს სანაქებო შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. მარად მესმოდეს თქვენი სიყვარულის ხმა.

პატივისცემით,

ლილი ბეგიაშვილი“ - წერია ლამაზ ღია ბარათზე, რომელიც მათ ინგლისური ენის მასწავლებელმა ლილი ბეგიაშვილმა გაუგზავნა მაშინ.

1998 წელს, 23 აპრილს, გაზეთ „შირაქის“ №8-ში შოთა ბიკაშვილი კი თავის სტატიაში "სიყვარულის სადიდებლად"წერდა:-"ქალაქ დედოფლისწყაროში ბედნიერ წყვილს ეძახიან ჯიმი ალუღიშვილს და ლალი ბოჭორიშვილს. ისინი 40 წელზე მეტია, შეუღლდნენ, მაგრამ დღესაც არ მოჰკლებია მათ სიყვარულსა და ოჯახურ ურთიერთობას სითბო და სიკაშკაშე. როცა ადამიანში ჰუმანურობას, თავმდაბლობას, სიკეთეს და სიალალეს უსვამენ ხაზს, იტყვიან ხოლმე- ეს კაცი ჭიანჭველასაც კი ფეხს არიდებსო. აი, ასეთი კაცური კაცია ჯიმი ალუღიშვილი და მისი მეუღლე ქალბატონი ლალი. ასეთივე სულისკვეთებით ზრდიან ისინი შვილებსა და შვილიშვილებსაც..."

მართლაც რომ, არ შემცდარა პედაგოგი ქალბატონი ლილი ბეგიაშვილი მათი წარდგინებისას და არც შოთა ბიკაშვილს გადაუჭარბებია მათი შეფასებისას. დღესაც ბედნიერ და საუკეთესო წყვილად ითვლებიან ბატონი ჯიმი და ქალბატონი ლალი.

25 თებერვალს ლალის 80 წელი შეუსრულდა. საზეიმო სუფრაზე მას მხარს უმშვენებდა მეუღლე.ჯიმი უკვე 85 წლისაა, მაგრამ მათ სულაც არ ეტყობათ ხნოვანება- ნათელი გონება და შესაშური მეხსიერება აქვთ, არც მხნეობა აკლიათ. ალბათ იმიტომ, რომ ისინი ბედნიერი ადამიანები არიან: შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები ჰყავთ, 6 შვილთაშვილის პატრონები არიან და მეშვიდეს მაისში ელოდებიან. აბა, რა უნდა ადამიანს თუ მონაგარი კარგად ჰყავს, თუ მათგან სათანადო ყურადღება და სიყვარული არ აკლია.

სუფრას ოჯახის მემკვიდრე გია თამადობდა, საალერსო სიტყვებს არ იშურებდა, მადლიერებას გამოხატავდა მშობლების მიმართ და უამრავ სახალისო და მნიშვნელოვან ფაქტს იხსენებდა ოჯახის ცხოვრებიდან. სტუმრებს ქალიშვილი ლია და შვილიშვილი ანა ემსახურებოდნენ. ნამდაუწუმ წკრიალებდა ტელეფონის ზარი, იუბილარს ულოცავდნენ შვილიშვილები, რძლები და სიძეები, შვილთაშვილები და ახლობლები, ვინც ფიზიკურად ვერ შეძლო მოსვლა.

ერთად გატარებულ ათეულ წლებს იხსენებდნენ ქალბატონი ლალის ყოფილი თანმშრომლები.

მოდით, გავიგოთ, როგორ მოხვდა იმერელი ქალბატონი ქიზიყში, რას შეეგუა და რას ვერ შეეგუა დღემდე, როგორ ცხოვრობს, რა უხარია და რა სწყინს.

1935 წლის 25 თებერვალს ის ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვირში შალვა ბოჭორიშვილის და ოლია სვანიშვილის ოჯახში დაიბადა. მამა ბუღალტერი იყო, დედა- დიასახლისი. ის აზნაურის ქალი იყო და ამით სულ მუდამ ამაყობდა. ორი ქალიშვილი და ერთ ვაჟი გაუზარდეს ქვეყანას. სამივეს უმაღლესი განათლება მისცეს და თავს შვილების წინაშე ვალმოხდილად თვლიდნენ.

ლალი წარჩინებული მოსწავლე იყო, აქტიური საზოგადოებრივ საქმეში – საუკეთესოდ მღეროდა, ცეკვავდა, დრამატული წრის აქტიური წევრი იყო.

– ომის და ომის შემდგომმა მძიმე წლებმა გადაიარეს ჩემს

ეს სურათი „საუკეთესო წყვილის“ ნომინაციაში დაჯილდოების ცერემონიალზეა გადაღებული 17 წლის წინ და ოჯახის რელიქვიად ითვლება.

ბავშვობაზე, მაგრამ მაინც ბედნიერი და ლაღი ვიყავ. კონსერვატორიასა და თეატრალურზე ჩაბარებას ბავშვურად ვოცნებობდი, თუმცა, ვერ ვაცნობიერებდი, რომ არც მუსიკალური სკოლა დამიმთავრებია და არც თეატრმცოდნეობაში გამეგებოდა რამე. მამამ მირჩია, ხომ ხედავ, მამიდაშენი თბილისის დიდ ლაბორატორიას უძღვება და როგორი კარგი სახელი აქვს, შენც რამე ისეთზე ჩაბარე, ცხოვრებაში რომ გამოგადგებაო. გადავწყვიტეთ და ზოოვეტინსტიტუტში ჩავაბარე. ეს იყო 1953 წელს,- იხსენებს ლალი და ლამაზი, ცისფერი თვალები სიხარულით უბრწყინავს.

– გულის სწორსაც, ალბათ, სტუდენტობისას შეხვდით?

– ნამდვილად. მე რომ ჩავირიცხე, ჯიმი უკვე მესამეკურსელი იყო. მეორე კურსზე ვიყავ, როცა შევამჩნიე და მომეწონა კიდეც. თურმე ისიც მადევნებდა თვალყურს. მერე მეგობრებმა ერთმანეთი გაგავაცნეს და ჩვენი სიყვარულობანაც დაიწყო. უამრავ კურიოზულ სიტუაციას იხსენებს ქალბატონი ლალი და ჯიმისაც იმოწმებს: – ხომ გახსოვსო. მათ კი მართლაც ბევრი რომ ახსოვთ, ნამდვილად ბევრი რამ თანაცხოვრების 60 წლის მანძილზე.

- 1955 წლის დეკემბერში მოვაწერეთ ხელი თბილისში და მატარებლით წითელწყაროში გამოვემგზავრეთ. მთელი ღამე ვიმგზავრეთ, ფანჯრიდან არაფერი ჩანდა სიბნელის გარდა. მე კი ძალიან მაინტერესებდა კახეთი, რომელიც არასდროს მენახა. მას მერე, 60 წლის მანძილზე, სულ ვუმტკიცებ ჯიმის, რომ იმერეთი უფრო ლამაზია - მეთქი, მაგრამ ვერ ვთანხმდებით, თავისი ქიზიყი ყველაზე ლამაზი ეჩვენება, გამთენიისას ჩამოვედით წითელწყაროში. დედამთილმა ქუსლიანი კალოშები იქვე მომარგო, რადგან გზები ისეთი ტალახიანი და ოღროჩოღრო იყო, გავლა ჭირდა. ეხ, რამდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ, ბევრი სასიკეთოდ, ზოგ რამეზე კი გული მწყდება. ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით მთელი სამეზობლო, ვის ეზოშიც თონე აენთებოდა და პური გამოცხვებოდა, იქ ვქეიფობდით, ერთმანეთი გვიყვარდა, გვეიმედებოდა, გვიხაროდა. ხალხი გაცივდა, გაბოროტდა, თავის პირადულში ჩაიკეტა, გულწრფელობა დაიკარგა. ის ჯაფით დაღლილი, თავსაფრიანი დედაკაცები და ხელებდაკოჟრილი კაცები უფრო მიმტევებლები იყვნენ და მზრუნველნი. სიღარიბე და გაჭირვება მაშინაც იყო, მაგრამ სხვანაირი იყო ცხოვრება, სხვა წესი და რიგი ჰქონდა უფროს-უმცროსობასაც. რა ვიცი, ასე ვფიქრობ ამ

გადასახედიდან.

– დიდი ოჯახი დაგხვდათ?

– დიახ. ჯიმის ერთი ძმა სოსო, ომში დაიკარგა, ჩემი დედამთილი 94 წლის ასაკში გარდაიცვალა და არ დაიჯერა შვილის სიკვდილი, სულ ქუჩისკენ ჰქონდა გულისყური, სულ ელოდებოდა. მეორე ძმა - ვალიკო, კარგი ეკონომისტი და საუკეთესო ადამიანი იყო, ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობდით, კარგი რძლობა და ერთობა გვქონდა. ერთი მული ყანდაურაში იყო გათხოვილი, ექთნად მუშაობდა, სოფლის დედას ეძახოდნენ, დღესაც ახსოვს სოფელს მისი ამაგი, მეორე მული - ირა. თბილისში ცხოვრობდა, ჯიმიმაც იქ გაატარა სტუდენტობა და მეც ჩემი უფროსი შვილი ლია იმ ოჯახში გავზარდე, რადგან ისევ სტუდენტი ვიყავ, ჩემი დედამთილი და დედაჩემი რიგრიგობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და ჩამოდიოდნენ თბილისში, რომ ბავშვის გაზრდაში მომხმარებოდნენ. ამდენი ხალხი თავს ვიყრიდით იმ ოჯახში და შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით. ამიტომ ვამბობ, ახლა სხვანაირი დრო მოვიდა მეთქი, პირადულმა წინ წამოწია. ყველა თავისი „უფლებების დამკვიდრებისათვის“ იბრძვის.

– როდის დაიწყო თქვენი შრომითი ბიოგრაფია?

- უმაღლესის დამთავრებისთანავე, 1958 წელს, საგზურით ჩამოვედი და ვეტლაბორატორიაში დავიწყე ლაბორანტად მუშაობა. ორგანიზაცია ორიოდე წლის გახსნილი იყო და სულ თანამედროვე ტექნიკით იყო აღჭურვილი. მთელს რეგიონს ვემსახურებოდით. შესანიშნავი უფროსები მყავდა: ირაკლი ზედგენიძე, ირაკლი პაპუაშვილი. ერთ ხანობას ჯიმიც იყო ჩემი უფროსი. შემდეგ ჩვენს ლაბორატორიას ტოქსიკოლოგია-ბიოქიმიის განყოფილება დაემატა და ექიმად გადავედი. თავაუღებელი სამუშაო გვქონდა, უამრავ საქონელს ვიკვლევდით, ვიძლეოდით რეკომენდაციებს, შეუმოწმებელი საქონლის ყოლა არც კოლმეურნეობაში და არც კერძო საკუთრებაში არ არსებობდა. ძირითად სამუშაოსთან ერთად ათეული წლები ზოოვეტერინალური სამსხურების გაერთაიანებული პროფკავშირის თავჯდომარე ვიყავ. უამრავი სიგელი, მადლობა და მედალი მაქვს მიღებული, ძალიან აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობდი, ჯიმიც სულ მუშაობდა, ის რაიონის მთავარი ვეტექიმი და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი ვეტექიმი იყო. შემდეგ ჩვენი სამსახურის რეორგანიზაცია მოხდა და 47 წლის შრომითი სტაჟით სახლში მომიწია დაჯდომამ. გული იმაზე მწყდება, რომ დღეს ამ წლებს არავითარი მნიშვნელობა არ ექცევა, ყველას ერთნაირი პენსია აქვს. ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოახერხა, რომ სტაჟისა და დამსახურებისათვის რაიმე დაემატებინათ საყოველთაო პენსიაზე. ეს უსამართლობაა.

ქალბატონი ლალი სიყვარულით იხსენებს თავის თანამშრომელებს, რომლებთან ერთადაც ათეული წლები გაატარა. ერთმანეთზე ზრუნვასა და თანაგრძნობაზე დამყარებული ურთიერთობა დღემდე გრძელდება.

- ლალისთან მუშაობის 37 წელი მაკავშირებს. ის ყოველთვის იყო არა მხოლოდ კარგი სპეციალისტი, არამედ კარგი მეგობარი, მხარში მდგომი, ყველას გაჭირვების ტალკვესი. თავისი რბილი, იმერული ხასიათით, ლავირების უნარით შეეძლო ყველას სიყვარული მოეპოვებინა, - ამბობს ჩვენთან საუბარში ქალბატონი ცისია პაპუაშვილი.

- ქალბატონო ლალი, 60 წლის ოჯახი გაქვთ. რა არის ოჯახის სიმტკიცის თავი და თავი?

- ცხოვრება რთულია, მას აღმართ-დაღმართი ყოველთვის ახლავს თან, ქონება და უქონლობა, ტკივილი და სიხარული განუყოფელი თანმდევია თითოეული ადამიანისათვის. სულ დალხენილი ცხოვრება არ არსებობს. ოჯახი მაშინ არის მტკიცე, თუ ამ ყველაფერს ერთად გადაიტანთ, გაიაზრებთ, მხარში დაუდგებით. ამას კი მხოლოდ სიყვარული შეგაძლებინებთ, ასე რომ, ოჯახის სიმტკიცის თავი და თავი სიყვარული და ერთგულებაა. ამას მოთმინება და პატიების უნარიც უნდა დავუმატოთ. ჯიმის ცოლად რომ გამოვყევი, ძალიან უცხოდ ვიგრძენი თავი. იმერული ცხოვრების წესი და აქაური განსხვავდებოდა, ის კი არა, ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა არც კი ვიცოდი, არ განეგონა. მაგალითად: ასტამი, კინჭოტი, ხუფი, ქეთლი და სხვა. ჩემმა დედამთილმა თონე რომ გაახურა, ახლოსაც ვერ მივდიოდი, მერე ნელ-ნელა გავბედე და როცა მითხრა, ასტამი ჩქარა მიაშველეო, თონეში ცაყუდებულ ქალს მე ხელებში მივანოდე ასტამი, ვერ მივხვდი, ჩაკრული პურისთვის რომ უნდა მიმერტყა და გამემაგრებინა. უამრავი კურიოზის მოყოლა შემიძლია, რაც მე აქ გადამხდა და ჯიმის - იმერეთში, მაგრამ ჩვენ ამ უხერხულობის გადალახვაში ერთმანეთს ვეხმარებოდით. საერთოდ, ჯიმი ჭკვიანი, პატიოსანი, სერიოზული და განათლებული ადამიანია. მე მასთან სულ ბედნიერი ვიყავ. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ხანგრძლივად ვიცხოვრეთ და დღესაც ერთმანეთს ვპატრონობთ.

- ახლა, კი თქვენი დიდი ოჯახის შესახებ ვისაუბროთ.

– ორი შვილი მყავს. ლია უფროსია, ის სპეციალობით ფილოლოგია, უნუვერსიტეტი დაამთავრა. მასაც ქალ-ვაჟი ჰყავს. ორივე დაბინავებულია, მაკა უცხო ენების სპეციალისტია, თან დიზაინით არის გატაცებული, 2 შვილი ჰყავს. ირაკლი ეკონომისტია, უკვე 3 შვილის მამაა, ასე რომ ლია 5 შვილიშვილის ბებიაა და მათ ემსახურება.

გია, რომელსაც მეტსახელად „კორნაპე“ შემორჩა ბავშვობიდან, მხატვარია. მან ჯერ მ. თოიძის სახელობის პროფტექნუკუმი დაამთავრა, მერე -აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ამჟამად ამ აკადემიაში უფროს პედაგოგად მუშაობს და ლექციებს კითხულობს დეკორატიული პლასტიკის ფაკულტეტზე. პარალელურად საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონში ხის მხატვრული დამუშავების პედაგოგია. ამ სამსახურით ის ძალიან კმაყოფილია, რადგან აქ სწავლობენ და აქვე ცხოვრობენ ნიჭიერი ახალგაზრდები ჰერეთიდან, ფერეიდანიდან, მთიანი აჭარიდან, საქართველოს სახდასხვა კუთხიდან. ამბობს, რომ მათთან ურთიერთობა ძალიან საინტერესოა. გიას ორი ქალიშვილი ჰყავს; დეიკო და ანა. ორივე მხატვრები არიან. მათ დედის და მამის მხრიდან მხატვრობის გენეტიკური მონაცემები აქვთ. დეიკო, მამასთან ერთად, სერიოზულად მუშაობს ხისა და მინანქრის კომბინაციით აქსესუარებისა შექმნაზე თუმცა, ხატვითაც ბევრს ხატავს. მას რამდენინე პერსონალური გამოფენაც ჰქონდა, დეიკო დაოჯახებულია, ჰყავს 4 წლის იოვანე. მაისში მეორე ბავშვს ელოდება. ღმერთის წყალობით, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. გიას მეორე ქალიშვილი ანა ჯერ დასაოჯახებელია, ისიც მთელ დროს ხატვას უთმობს. რა თქმა უნდა, ბედნიერები ვართ მე და ჯიმი - ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი, ექვსი შვილთაშვილი (ერთიც გზაშია) დიდი სიმდიდრეა, რძლები და სიძეებიც კარგები გვყავს.

(გაგრძელება გვ.7)

„არ მოგშლოდეს სიბერის, სიჭარმაგის ეშხი...“

(მეექვსე გვერდიდან)

სხვა რა უნდა ადამიანს, მათი სიხარულით ვცხოვრობთ, ყველას ვუსურვებ ასე ბედნიერად დაბერდნენ, როგორც ჩვენ . დიდი მადლობა, პატივი რომ დამდეთ და ჩემი 80 წლისთავის სიხარული გაიზიარეთ.

- უფლის წყალობა არ მოაკლოს თქვენს დიდ და სამაგალითო იჯახს, ქალბატონო ლალი. ჯამთელობას და მხნეობას გისურვებთ. გილოცავთ დედის და ქალთა დღეებს. მრავალს დაესწარით!

ნაირა გორაშვილი

სურვილები იუბილარს

იმერეთის უვავილო, სვირში აღმოცენილო,
სიყვარულის ქარბობალით კახეთს გამორჩენილო,
გზაზე ბევრი შემოგ სვდა დარია თუ ავდარი,
შენი კლდეამოსილებით განვლე წლები მრავალი.
სიყვარულის დუღაბით მტკიცე საძირკველზედა,
ერთგულების ფიალა მუდამ საკვე გეჭირა,
შენი ეშხით ატკბობდი გულქართლ კახელ ვაჟკაცს.
ჯაბანს ერთადა სწევდით, არ უგდებდი მას მხარს.
რამდენ ტვირთს ტვირთულობდი ერთობ საოცარია
აქეთ კერას იწყობდით, აშენებდით ჯერს და სახლს.
იქით ბავშვებსა ზრდიდით, უნახავსა თვალისა,
საზოგადო ეოფაში გედო შენი წილი,
პატიოსანი შრომით ქუხდა თქვენი წყვილი,
ყველგან კვალი გაავლეთ სიკეთის და ნათლის,
რასაც ვეღარასოდეს ბნელი ვეღარ წაშლის.
ქვეენის სიძლიერისთვის ათენებდით ღამეს,
პირნათელად იღწვოდით, ტკბილიც ნახეთ, მწარეც.
გამარჯვებას იმკიდით დიდი გარჯის ფასად.
ღმერთმა ბარაქა მოგცეთ, გაგამრავლოთ ასად.
თქვენი კერის სურნელი მისწვდეს მაღლა ცასა
თქვენი მადლის სიუხვე თქვენც გეეოთ დ სხვასაც,
უფლის კურთხევით გევლოთ ქალსაცა და კაცსაც,
ია-ვარდი ეფინოს თქვენი წლების გზასაც ,
არ მოგშლოდეს სიბერის, სიჭარმაგის ეშხი
სულის სისპეტაკებით უკვდავგეეოფდეთ ღმერთი.

დიდი სიყვარულით,
გულო წერეთელი

დაიხურა თუ არა ნატოს კარი საქართველოსთვის?

საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ გახმაურებულმა მიდგომამ, რომ ამ ეტაპზე უარი უნდა ეთქვათ ნატოში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოში. არის თუ არა ეს ნატოს მიერ ნათქვამი საბოლოო უარი? რა დგას ფრანსუა ოლანდის სიტყვების უკან? არის თუ არა ეს რუსეთისთვის ანგარიშის გაწევის მცდელობა და რა მოეთხოვება ამ შემთხვევაში საქართველოს?

სიტყვები, რომლებმაც საქართველოს მსგავსად, თავსატეხი სხვა არაერთ ქვეყანას გაუჩინა, საფრანგეთის პრეზიდენტმა სამშაბათ საღამოს პარიზში, ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან საუბრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, წარმოთქვა:

„მინდა ხაზი გავუსვა, რომ, რაც შეეხება ქვეყნებს, რომლებსაც გამოხატული აქვთ ნატოში გაწევრიანების სურვილი, ყველა ასეთი ქვეყნის განაცხადი უნდა იყოს უარყოფილი, რადგანაც, ჩვენი აზრით, ნატო ამ ეტაპზე არ უნდა გაფართოვდეს“.



იმ ფაქტმა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა ეს სიტყვები ნატოს გენერალური მდივნის თანდასწრებით წარმოთქვა, გააჩინა დამატებითი შეკითხვა: ხომ არ არის ეს უკვე შეთანხმებული პოზიცია ალიანსის შიგნით და საბოლოოდ ხომ არ დაიხურა ალიანსის კარი?

ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს დამოუკიდებელ ექსპერტ ზაალ ანჯაფარიძეს, რომელიც, ფრანსუა ოლანდის სიტყვების კვალდაკვალ, ჯერჯერობით ვერ ხედავს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის იმ გადაწყვეტილების გაუქმების საფრთხეს, რომ საქართველო ერთ დღეს აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. ექსპერტის დაკვირვებით, საფრანგეთის პრეზიდენტმა საკუთარი ქვეყნის პოზიცია გამოხატა:

„ჯერჯერობით ნატოს წევრი არც ერთი სხვა სახელმწიფოს ლიდერს არათუ მსგავსი, არამედ იმასთან მიახლოებული განცხადებაც კი არ გაუკეთებია, რომ ნატოს გაფართოება არ არის მიზანშეწონილი. აქედან გამომდინარე, ჩემი პირველადი შეფასებით, ეს რჩება საფრანგეთის პრეზიდენტის პირად დამოკიდებულებად ამ საკითხის მიმართ... თუმცა ამ ფაქტის სათანადოდ არშეფასება არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგანაც საფრანგეთი არის ალიანსის სერიოზული, წონიანი წევრი და, რა თქმა უნდა, მის აზრს ალიანსში ამგარიშს უწევენ“.

იმოქმედებს თუ არა ფრანსუა ოლანდის განცხადება ნატოს გეგმებზე, ამას, ზაალ ანჯაფარიძის აზრით, ყველაზე უკეთ გამოამჟღავნებს დამოკიდებულება „არსებითი პაკეტის“ გეგმების მიმართ. კერძოდ, თუკი საფრანგეთის მსგავს პოზიციას სხვა ქვეყნებიც გამოავლენენ, შესაძლოა, შეყოვნდეს ნატოს საწვრთნელი ცენტრის საქართველოში ამოქმედების საკითხი, თუმცა, ექსპერტი მაინც ვარაუდობს, რომ ფრანსუა ოლანდის განცხადება არის რუსეთის აგრესიის ფონზე, ევროპაში დღეს არსებული მზარდი და მეტად სახიფათო დაძაბულობის განსამუხტად, მოსკოვის გასაგონად გაკეთებული განცხადება, რომ თუკი ის შეწყვეტს აგრესიას უკრაინის მისამართით, შესაძლოა, ნატომ უარი თქვას შემდგომ გაფართოებაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს ალიანსის უკანდახევას.

ფრანსუა ოლანდის სიტყვები რუსეთს რომ ესიამოვნებოდა, ეს ცხადია ექსპერტ შორენა ლორთქიფანიძისთვისაც. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი აღნიშნავს, ეს შესაძლოა იყოს ერთგვარი ტაქტიკური სვლა „დროის გაყვანის მიზნით“ და რომ ამ პროცესში საქართველოს ინტერესები არ დაზარალდება:

„არ ველოდები იმას, რომ რუსეთთან ვაჭრობაში საქართველო გაიცვლება... ეს ნაბიჯი, შესაძლოა, შეთანხმებული და დაკავშირებული იყოს უკრაინასთან, მინსკის მოლაპარაკებებთან... „მისტრალის“ მიყიდვასაც აპირებდა საფრანგეთი რუსეთისთვის, მაგრამ შემდეგ ეს გადაწყვეტილება უკან წაიღო“.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ფრანსუა ოლანდის განცხადება საქართველოს ხელის ჩაქნევის საფუძველს არ აძლევს და რომ ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ნატოში გასაწევრიანებლად აუცილებელი შესაბამისი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. ექსპერტები ხელისუფლებას ურჩევენ, რომ ნატოში ინტეგრაციის საკითხზე გაასმაგებული ძალისხმევით იზრუნოს.

იმას, რომ ნატოში გაწევრიანების სურვილი რომელიმე კონკრეტული ხელისუფლების ახირება არ არის და ეს მთლიანად ქართველი ხალხის დროში გამოცდილი, ძლიერი გადაწყვეტილებაა, შეერთებულ შტატებში მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმაც გაუსვა ხაზი. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში სტუმრობისას მან თქვა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტია და რომ სწორედ ამიტომ მიიწევს მისკენ რუსეთისგან მრავალგზის შევიწროებული, ოკუპირებული, მაგრამ მშვიდობისმოყვარე საქართველო:

„ნატო პრევენციის მექანიზმია და ქვეყნები, რომლებიც ნატოს წევრები იყვნენ, ყოველთვის საკუთარ თავს იცავდნენ და რუსეთსა თუ საბჭოთა კავშირს არ შეეძლო შეტევა განეხორციელებინა მათზე. ასე რომ, როდესაც ჩვენ გვინდა ნატოს წევრობა, ეს ნიშნავს, ჩვენ ქვეყანაში ომის დასრულებას და არა ომის დაწყებას რუსეთთან”.

ხსოვნა

დარეჯან ბეგიაშვილი

დადგა გაზაფხულის პირველი თვე. 1მარტი შენი უბედური დედის დაბადების დღე, 3მარტი დედის დღე, 8მარტი- ქალთა დღე. აი, რამდენი ლამაზი დღე იყო ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ყველაფერი წარსულში დარჩა. ახლა მოვიდა მარტი ტკივილით , სევდით და ცრემლით სავსე. 3 მარტს შენი უბედური მშობლები და შენი ნიკოლოზი მოვედით შენს საფლავზე. მოგილოცეთ დედის დღე, რომელსაც მეორედ შეხვდნენ შენი შვილები უშენოდ. შენმა ანამ ოპერაცია გაიკეთა და იმისთვის ვერ წამოვიდა. ნიკოლოზმა კი იები და ენძელები მოგიტანა. შენს გაყინულ სახეს მოეფერა. დაგპირდა, რომ არასოდეს შეგარცხვენს და ჩვენც ვეცდებით უშენობით გამოწვეული ტკივილი შეუმსუბუქოთ. ანას სჯეროდა, რომ საოპერაციოში შესულს შენი სული და უფალი ერთად დაიცავდით განსაცდელისგან. მან შენსავით მთხოვა, ბებო, მამა ლევანს დაურეკე დამლოცოსო. მანაც დალოცა. რისთვისაც უფალს მის და მისი ოჯახის ჯანმრთელობას ვთხოვ და ვუსურვებ, დიდხანს ყოფილიყოს ჩვენი მოძღვარი და თავისი ლოცვით სულიერად გაგვაძლიეროს. შენი სული კი უფალს შეავედროს,მარადიულ სასუფეველში დაგიმკვიდროს ბინა. შენს ანასთან ჩემთან ერთად იყვნენ შენი დები, სიძეები, ნინო და ზურა. მათი დიდი მხარში დგომა გვაძლებინებს შენს უბედურ მშობლებს. ვაი რომ შენთვის აღარც 3 მარტი და აღარც 8 მარტი აღარ არსებობს, ჩვენო სიცოცხლით სავსე, სიყვარულით და სითბოთი გამორჩეულო შვილო. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ, ჩემო გოგო, მაგრამ ამ ტკივილს გულში ვიკლავთ, რათა ისედაც დაჩაგრულ შენს შვილებს გული უფრო არ ვატკინოთ. ჩემი და მამაშენის სიცოცხლე კი მხოლოდ სასჯელია. მგონია ისევ გაიღება ჩვენი ჭიშკარი და შემოხვალ შენი ქოთქოთა სიცილით. მაგრამ ვაი რომ ამას ვეღარ მოვესწრებით.

გილოცავთ მარტის ლამაზ დღესასწაულებს შენ შვილებთან, შენს დებთან და დისშვილებთან ერთად. უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი. მშვიდად იძინე, ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენ კი ყველანი ერთად შენი შვილების ღირსეულ აღზრდას ვეცდებით. ნათელში გამყოფოს უფალმა. გჯეროდეს სანთელ-საკურთხს არ მოგაკლებთ, შვილო.

შენი უბედური მშობლები: მარინა, ნიკოლოზი; **დები:** ხათუნა, ქეთი ბეგიაშვილები; **შვილები:** ანა, ნიკოლოზ პოპიაშვილები.

დავით და სვეტლანა ბენაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ალა, ნანა, ნაირა და ირაკლი წიკლაურებს მეუღლის და მამის
არჩილ წიკლაურის
გარდაცვალების გამო

მეუღლე სპირიდონ ლეკაშვილი , შვილი ნოდარი, და მარიკა მაძღარაშვილი, შვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან
ნუნუ ხარაშვილის
გარდაცვალებას. დაიკრძალა 7 მარტს, სოფ. სამრეკლოში.

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ნანა წიკლაურს მამის
არჩილ წიკლაურის
გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ლეილა ფიროსმანაშვილს მამიდის
ზოია ფიროსმანაშვილის
გარდაცვალების გამო.

ოზაანის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი სამძიმარს უცხადებს ეთერ ზურიკაშვილს მეუღლის
შალვა დავითაშვილის
გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ეთერ ზურიკაშვილს, მარინა და ნატო დავითაშვილებს
შალვა დავითაშვილის
გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს ბიძების
შალვა დავითაშვილის და გივი (ჯემალი) ბეჟაშვილის
გარდაცვალების გამო.

ნათელა თამაზაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ეთერ ზურიკაშვილის ოჯახს
შალვა დავითაშვილის
გარდაცვალების გამო.

პოეზია, როემლიც თავს არასოდეს გავიწყებს

საქართველოს მწერალთა სახლში 2 მარტს მოკრალებულად აღინიშნა პოეზიის დედოფლის მაყვალა გონაშვილის საიუბილეო საღამო. სხვებთან ერთად ამ პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია. საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი „შირაქი“ „საქართველოს ლირიკა“ და ტელეარხი „იმედი“.

- საამაყოა, იყო ასეთი პროექტის ორგანიზატორი, 2015 წელს ეს ჩვენი გასვლითი მეორე ერთობლივი პროექტია. პირველი გახლდათ ცნობილი პოეტისა და საზაგადო მოღვაწის მარინე ცხვედიაშვილის შემოქმედებითი საღამო, რომლის შესახებაც ვრცელი წერილი დაიბეჭდა გაზეთ „შირაქში“ ამ ჩვენი ორი თანამემამულის მაყვალა გორაშვილს და მარინე ცხვედიაშვილს შემოქმედება განსაკუთრებული საჩუქარია არამარტო დედოფლისწყაროელებისათვის, არამედ პოეზიის ყველა მოყვარულისთვის.

მაყვალა გონაშვილის პოეზია თავს არასოდეს გავიწყებს... აღნიშნა მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავჯდომარემ ვანო ნატროშილმა.

იუბილარს დაბადების დღე 1 მარტი პირველმა მიულოცა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა მერი კოჭლამაზაშვილმა - გონაშვილმა და დასძინა: - შენ და მარინე ჩემი შვილებივით, ბაჩუკისა და ვაჟასავით მიყვარხართ, თქვენი შემოქმედებითი წარმატებები გულით მიხარიაო.

საღამოზე იუბილარს თბილი სიტყვებით მიმართა დედოფლისწყაროელმა ახალგაზრდა პოეტმა ქეთევან ნათელაძემ და მაყვალა გონაშვილის ახალი კრებულიდან „100 ლექსი“ მხატვრულად წაიკითხა რამოდენიმე ლექსი და თავადაც საკუთარი ლექსი მიუძღვნა. გამომსვლელებს ბოლო არ უჩანდა. პოეტის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარემ რეზო მიშველაძემ და პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

საღამოს დასასრულს მაყვალა გონაშვილმა მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებს და იქ მყოფ დამსწრე საზოგადოებას ასეთი თბილი საღამოს გამართვისათვის.

ნანა ჭიჭინაძე.

ინტელექტუალურ შეხვედრაში „რა? სად? როდის?“ მთელი რაიონის საზოგადოება ჩაერთო



ჩვენს მუნიციპალიტეტში კულტურული და სპორტული ცხოვრების გამოცოცხლება რომ შეინიშნება, ეს არაერთხელ აღგვინიშნავს, თუმცა, კიდევ უფრო საინტერესო გახდა ჩვენი თანამემამულეების ცხოვრება, როდესაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ამ დღეებში სპორტულ დარბაზში კიდევ ერთი ძალიან ლამაზი და საინტერესო ღონისძიება გაიმართა- ინტელექტუალური თამაში „რა,? სად? როდის?“, რომელიც სიმბოლურად გაზაფხულის პირველ დღეს დაამთხვიეს და რომელშიც მთელი რაიონის საზოგადოება სიამოვნებით და სიხარულით ჩაერთო.

1 მარტს სპორტკომპლექსის დარბაზი ინტელექტუალებს ძლივს იტევდა, საზოგადოებაში იგრძნობოდა საგრძნობი გამოცოცხლება და ის, რომ ისინი მოწყურებულები იყვნენ ამგვარ შეხვედრებს. 1994 წლის შემდეგ ინტელექტუალების მასშტაბური შეხვედრა აღარ გამართულა. წარმოდგენილი იყო 12 გუნდი, ექვსი მოაზროვნით. აი, ეს გუნდებიც: „TBC“ —(თიბისი ბანკის ახალგაზრდა წევრები), „N+“, (ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგები), „ექიმები“ (რაიონის მედიკოსები), „იბერია“, (საზოგადოება „ქიზიყის“ წევრები), „ლოტოსი“(მეორე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი), „საქმიანი ხალხი“ (მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები), „ერუდიტის“ (სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები), „ერქვანი“ (კერძო სკოლა „ბენაურის“ პედაგოგიური კოლექტივი). ღონისძიებას მხარი არ ჩამოუგდო სოფელ არბოშიკის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა, რომელმაც საკუთარი სოფლის ინტელექტუალები წარმოაჩინა ერთ გუნდად სახელწოდებით „არბო“. პატრიოტულ ნოტაზე ჟღერდა ჩვენი რაიონის სტუდენტური ნაკრების სახელწოდება „ის ურჩევნია მამულსა..“, რომელსაც ჩვენი მომავალი თაობა-სტუდენტები წარმოადგენდნენ. „უსახელოები“ ერქვათ სოფ. სამრეკლოს საჯარო სკოლის უფროსკლასელ ბიჭებს. გუნდი „საფიხვნო“- ასეთი სახელწოდებით წარსდგა საზოგადოების წინაშე მუნიციპალიტეტის საკრებულო. ღონისძიების ავტორი და წამყვანი სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომელი ზურაბ კიკილაშვილი გახლდათ. თამაში -„რა? სად?როდის?“ ხუთ ტურად წარიმართა, თითოეულ ტურში იყო ხუთი შეკითხვა, გუნდებს მოსაფიქრებლად ჰქონდათ ერთი წუთი. საბოლოო ჯამში პირველ ადგილზე გავიდა გუნდი- „ის ურჩევნია მამულსა“, რომლის კაპიტანი პაატა კიკილაშვილი გახლდათ. მხოლოდ ერთით ნალები ქულით მეორე ადგილი დაიკავა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუნდმა- „საფიხვნომ”(კაპიტანი-ნინო ფიროსმანაშვილი), ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა გუნდი-„იბერია”(კაპიტანი-ვაჟა პაპუაშვილი). საუკეთესო მოაზროვნედ დასახელდა გამარჯვებული გუნდის კაპიტანი პაატა კიკილაშვილი. საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ ფასიანი პრიზებით, რომელიც სპონსორებმა- ზურაბ ქავთარაძემ, მაღაზია „ბეკომ“(ინდ. მეწარმე სოლომონ მენთეშაშვილი) და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრმა დააწესეს. „ფიტნეს“ დარბაზში სავარჯიშოდ ერთთვიანი, უფასო აბონემენტები გადაეცათ პირველ ადგილზე გასული გუნდის წევრებს და ასევე, ყველა გუნდის საუკეთესო მოაზროვნეს. დასასრულს, ყველა ქალბატონს, ცენტრის ხელმძღვანელობამ ყვავილები მიართვა და გაზაფხულის დადგომა მიულოცა.

ლალი მეხრიშვილი

ულოცავენ!

ნონა მამუკელაშვილს!

ელგუჯა სუარიშვილს!

გულწრფელად ვუერთდებით თქვენი ტკბილი ოჯახის დიდ სიხარულს და გილოცავთ ნანატრი ქალიშვილის თამარის დაბადებას. გისურვებთ ყოველივე სიკეთეს, სრულყოფილებას ყველაფერში. თქვენი ოთხი შვილი: გიორგი, სიმონი, ნიკოლოზი და თამარი ღირსეულ ქართველებად გაგეზარდოთ. ნონა, გილოცავთ ასევე დაბადების დღეს-8მარტს. პატარა თამარი ღვთის საჩუქარია თქვენთვის ამ ბედნიერ დღეს.

საუკეთესო სურვილებით და უღრმესი პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით
ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, მარიკა პოპიაშვილი, ხათუნა აგლაძე, ქეთინო ნოზაძე, ნირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი და სხვები.

— — — — — — —

ქალაქ დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები დედის და ქალთა დღეს ულოცავენ საალმზრდელო ცენტრის ყველა თანამშრომელ ქალბატონს და ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს. უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს და წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში.

გულო გელაშვილს!

ქალბატონო გულო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და განუყოფელ შვიდეულთან ერთად. ტკბილად იცხოვრე ამ ქვეყანაზე. იმედია მელე შეეხვდებით.

ადამიანი საჭსე ხალისით
და მეგობარი მართლაც უნაკლო,
მოსიყვარულე გულით კეთილი,
ასეთი ხარ და როგორ დაჭმალოთ.

შენი შვილეული

ნელი ზოშიაშვილს!

ჩვენო საყვარელო ბება, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. გვინდა, ქვეყანა გავაოცოთ და გავამჟღავნოთ, რომ 11 მარტს 65 წლის ხდები. ისეთი მხნე და ლამაზი ხარ, ამას მაინც არავინ დაიჯერებს. იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი ჩვენთან და პაპასთან ერთად.

შენი დაჩი, ანუკი, ლია და ლიზიკო.

ყურადღება!

1მარტიდან ქალაქ დედოფლისწყაროში ფუნქციონირებას იწყებს ინკუბატორი. მიიღება შეკვეთები წიწილებზე. აგრეთვე შევისყიდით საინკუბაციო კვერცხს ქათმის, ინდაურის, ციცარის, მწყერის და ხოხბის. მისამართი: კოსტავას ქუჩა N14. შემოსასვლელი პოლიციის, ან ბაზრის მხრიდან, კულტურის სახლის გვერდით.

579 33 07 41, 555 00 79 16, 598 00 79 16, 557 23 88 99, 571 15 72 86, 790 40 82 15.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 09.03	სამშაბათი 10.03	ოთხშაბათი 11.03	ხუთშაბათი 12.03	პარასკევი 13.03	შაბათი 14.03	კვირა 15.03
დღე	-1 °	0 °	3 °	2 °	4 °	5 °	3 °
ღამე	-1 °	-3 °	-1 °	0 °	-1 °	2 °	2 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K